ხელშეკრულება №26

კასპი 17 თებერვალი 2016 წელი

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება, შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, მანანა ხვთისიაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და ი/მ ,,გოჩა გიგაური - სუფთა სამყარო“ შემდგომში „მომწოდებლად“ წოდებული, წარმოდგენილი გოჩა გიგაურის სახით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ი/მ ,,გოჩა გიგაური“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებასა“ და მის დაქვემდებარებაში შემავალ ს/ბაღებს მიაწოდოს დასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები კერძოდ, (ნათურები).

2. შესრულებული სამუშაოს ვადები და ღირებულება

2.1. საქონლის შეძენა ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2.2. მთლიანი ღირებულება შეადგენს 100(ასი) ლარს.

2.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რომელიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით.

2.4 მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.3 ანგარიშსწორება წარმოებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მითითებული რვანიშნა კოდით: 31500000 (31531000)

3.4 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. ,,შემსყიდველი'' კისრულობს ვალდებულებას:

4.2. გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

4.3. „მომწოდებელს '' უფლება აქვს:

4.4. მოსთხოვოს „შემსყიდველს'' შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. ,,შემსყიდველი '' უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია, შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31.01.2017 წლის ჩათვლით.

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10. დავათა განხილვის წესი.

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

„დამკვეთი“

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი
აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება;
მისამართი: კასპი, საკაძის ქ. №68
ს/კ 232559781

დირექტორი

მ. ხვთისიაშვილი _____

„მომწოდებელი“
ი/მ „ გოჩა გიგაური - სუფთა სამყარო“
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 24001011797
ა/ნ GE59BG0000000855764400
ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22

გოჩა გიგაური _____